საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 24 1921 წ. სამშაბათი მარტის 29 № 4

ფასი 50 მანეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოციალისტ-ფედერალისტი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი დირს თვეში 1500 მან.

ოთხშაბათს, მარტის 30, საღამოს 6 საათზე

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა

სოციალის.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ორგანიზაცია იწვევს

მუშა-მოსამსახურეთა კრებას

რომელზედაც მოხსენებას აკეთებს

პროფ. შალვა ნუცუბიძე

თანამედროვე მომენტზე, ასეთივე კრებას გამართავს სოც.-ფედერალისტთა

ფარმაცევტთა ორგანიზაცია

პუთშაბათს, მარტის 31, საღამოს 6 საათზე.

ჩვენი გზა

მომენტი.

ის მოვლენები, რომლებსაც ამ უკანასკნელ ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყნაში, მოითხოვენ დაკვირვებულს და ობიექტურ შესწავლას. ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ვიცოდეთ რა გზით უნდა მიმართოს პარტიამ თავისი მუშაობა, რა აქვს მას გასაკეთებელი მდგომარეობის და ნაციონალურ-ფედერალობის მოთხოვნით და მსოფლ მხედველობის კარნახით. ჩვენ ვფიქრობთ, მომენტში გარკვევამ უნდა მოგვცეს საშუალება გადაჭრილი პასუხი გავსცეთ ყველა იმ საკითხებს, რომლებიც ცხოვრებამ ჩვენს წინ დაყენა და პრაქტიკულ პოლიტიკის საშურ საგნად აღიარა. როგორი ფორმაც, როგორ იდეოლოგიური გამართვაც არ უნდა მიეცეს ჩვენში მომხდარ ამბებს, რა სახითაც მისი გამომეურებას არ უნდა შეეცადოს ესა თუ ის ჯგუფი, ერთი რამ ყველასათვის ცხადი უნდა გახდეს: ჩვენშიც საქართველოს ტერიტორიაზე, ერთი მეორეს დაუტაკა ორი ძალა, ორი პოლიტიკა—ე. წ. მენშევიზმი და ბოლშევიზმი. იმის გასაგებად, თუ რა გვაქვს საფუძველად ამ ორი ძალის დატაკებს, რა ამოძრავებდა ოითოეულ მათგანს, ან რა გასასამართლებელი საბუთი ჰქონდა უკვე განცდილ საბედისწერო ომს, უნდა მივმართოთ მებრძოლ ძალების მოწინააღმდეგე პოლიტიკურ გეზის გარკვევას.

ამ თვალსაზრისით, ჩვენში მომხდარი ამბები შეუძლებელია ფარმოიდგინოთ გარეშე იმ დიად ისტორიულ ოვლენისა, რომელსაც რუსეთის რევოლიუციაა ეწოდება, ვინაიდან სწორედ ამ რევოლიუციაში პირველად საბედისწერო ბრძოლაში შეხვდენ ერთი მეორეს ბოლშევიზმი და მენშევიზმი. ამდენადვე, გასაგები ომი ერთ ერთი მომენტია იმ დიად ისტორიულ პროცესისა, რომელიც დაიწყო რუსეთის რევოლიუციით და რომლის დასასრული შორეულ მომავალში ჯერ გაურკვეველად ისახება. ამ ხაზზეა ნებით ისტორიისა მოთავსებული ჩვენი ქვეყნის გუშინდელი ამბები და ვანც ამ ხაზის დასაწყისს ვერ წარმოიდგენს ის ვერც დღევანდელს მომენტს მიაგნებს და გაიგებს და ვერც მომავალს გაითვალისწინებს.

ყოველ პოლიტიკურ სიმდინარეობას, ყოველ პოლიტიკურ პარტიას ცხოვრებაში რაიმე გასამართლებელი მიზეზი, რაიმე დასაყრდენი უნდა მოეპოვებოდეს. გარეშე ამისა პოლიტიკური მიმდინარეობა, ანუ უფრო მოკლედ, პოლიტიკა მკვდარია, ოცნებაა, მოჩვენება. შესაძლოა ვისმე გაუნდეს თავში ძალიან ლამაზი და დალაგებული გეგმები, მაგრამ ამას არავითარი დირებულება არ ექნება, თუ ცხოვრების სინამდვილე სულ სხვას მოითხოვს და სხვა გზით მიმდინარეობს. ამიტომაც, ყოველგვარი პოლიტიკა, თუ ის ცხოვრებასთან შეხამებულია, მოითხოვს იმ ძალას, რომელსაც ის ემყარება, ინტერესებს, რომელთაც ის გამოხატავს, პირობებს, რომლებშიაც ამ ძალაზე დაყრდნობით ამ ინტერესების რეალიზაცია უნდა მოხდეს.

თანამედროვე კლასობრივ საზოგადოებაში, იქ სადაც ინდუსტრიის და აღებ-მიცემობის განვითარების ნიადაგზეა ჩამოყალიბებული კლასობრივი ურთიერთობა, ყოველგვარ პოლიტიკას ეკონომიური საფუძველი აქვს, კლასობრივი დადებული. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნას შეფასებული იმ ძალების ბრძოლა, რომლებიც პირველად რუსეთში და შემდეგ ჩვენში ერთი მეორეს შეხვდენ და ერთი მეორეს დაეჯახნენ.

ბოლშევიზმსა და მენშევიზს შორის დიდი ხანია არსებობს თეორიული სხვაობა, მაგრამ ამას ჩვენთვის დღეს ისეთი მნიშვნელობა არ აქვს. უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ეს იმდენად თეორიული განსხვავება არაა, როგორც ერთ.ხა და იმავე იდეოლოგიის სხვა და სხვა გვარად გაგება. მარქსიზმში ახალ წყობილებაში გადასასვლელი გზები ყოველთვის ერთგვარად არაა წარმოდგენილი და მის ნიადაგზე შესაძლო შეიქნა სხვა და სხვა პოლიტიკის გამომუშავება. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ შესაძლო იყო ორი ძირითად განსხვავებული გაგება მარქსისტულ პოლიტიკისა კაპიტალისტურ საზოგადოების დამხობაში და ახალ წყობილების შექმნაში. ორგანიული და კატასტროფიული პოლიტიკის ენაზე ეს არის დემოკრატიზმი პარლამენტარიზმით ერთის მხრივ და რევოლიუციონური გზა დიქტატურით მეორეს მხრივ. რა თქმა უნდა სხვა და სხვა შემთხვევებში შეაძლო იყო სხვა და სხვა ცვლილებები, როგორც ერთ ისე მეორე ძირითად თვალსაზრისი.

დემოკრატიზმის პოლიტიკა ისტორიულ ობიექტივიზმს ემყარება. ამ თვალსაზრისით ისტორიული აუცილებლობის თანახმად ბურჟუაზია შექმნის ნივთიერ პირობებს სოციალისტურ წყობილებისათვის და როდესაც ერთ-ერთ სიფხურზე საწარმოო ძალთა განვითარებისა, წინააღმდეგობა საზოგადოებრივსა და მოწყობილ წარმოებისა და კერძო საკუთრებას შორის აშკარა გახდება, უმრავლესობა—დემოკრატია აიღებს ხელში ძალა-უფლებას და ბურჟუაზია ჩამოდგება და დამყარდება სოციალიზმი. აქ ძალდატანებაც იქნება საჭირო, დიქტატურა—ასე მსჯელობენ ამ პოლიტიკის მომხრენი, მაგრამ ეს იქნება უმრავლესობის უმცირესობაზე ბატონობა ანუ „დემოკრატიული დიქტატურა“. ამ სახის დიქტატურა შესაფერად მიაჩნიათ დემოკრატიის პოლიტიკის მომხრეთაც.

რევოლიუციონურ გზის მომხრეთ ისტორიულ აუცილებლობაზე ისეთი ამსოლუტური წარმოდგენა არ აქვთ. მათი აზრით სოციალიზმი არ შეიძლება იყოს შედეგი იმ ორგანიული პროცესის, რომლის დროს კლასთა თანამშრომლობის ნიადაგზე იქმნება სიმდიდრე, რომლის მემკვიდრეთ უნდა იქცეს პროლეტარიატი; სოციალიზმი შეიძლება იყოს შედეგი მხოლოდ კატასტროფის, რომელსაც განიცდის კაპიტალისტური წყობილება და რომლის დროს პროლეტარიატი არა თუ სწყვეტს ყოველივე კავშირს ბურჟუაზიასთან, არამედ იარაღით ხელში გამოდის სახელმწიფო აპარატის ხელში ჩასაგდებად და თავის ძალა-უფლების ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

თეორიულად ეს კრიზისი სხვა და სხვა სახით იყო გათვალისწინებული, მაგრამ სინამდვილეში კრიზისი მოხდა მსოფლიო იმპერიალისტურ ომის სახით. ბურჟუაზიის პოლიტიკამ ნივთიერ სიმდიდრეთა დაგროვების პროცესსში მილიტარისტური ხასიათი მიიღო და გავლენის სფეროების შეძენის ნიადაგზე გამოიწვია დიდი მსოფლიო კრიზისი, რომელმაც შთანთქა ყოველივე სიმდიდრე და კეთილდღეობა სილარიბეში და გაჭირვებაში ჩაგდო. ისტორიამ დასვა საკითხი: დაიწყოს თავიდან კლასთა თანამშრომლობა, რომ ამ ხაზით აღორძინდეს ეკონომიური ცხოვრება და მით კვლავ შეიქმნას ნივთიერი პირობები სოციალურ გარდაქმნისათვის თუ ამ კრიზისმა ნათელჰყო კაპიტალისტურ სახელმწიფოს „ზედნაშენის“ წინააღმდეგობა მის ეკონომიკასთან?

შ. ნუცუბიძე.

სოციალისტურ საქართველოში

შაბლონი თუ ორიგინალობა.

ბოლშევიკების შემოსვლის პირველ დღეებშივე ფრიად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკება გაიმართა ლენინსა და საქართველოს მთავრობის წევრთა შორის იმ შინაური პოლიტიკის შესახებ, რომელსაც უნდა დაადგეს საბჭოთა მთავრობა საქართველოში. სრული პრინციპიალური თანხმობა, რომელიც ლენინსა და საქართველოს მთავრობის წევრთა შორის აღმოჩნდა, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძირითადი საკითხები ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა სოციალისტურ საფუძველზე სწორედ ისე გადაწყდება, როგორც ამას უკვე შეთანხმებული აზრი მოითხოვს.

უმთავრესი რჩევა, რომელიც ლენინმა მისცა ჩვენს მთავრობას იმაში მდგომარეობს, რომ მას საჭიროდ მიაჩნია ახალ არმშენებლობის ხანაში ჩვენი მმართველები მოერიდნენ რუსეთის შაბლონს და სოციალისტური მოქმედება შეუფერდონ ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ სოციალურ პირობებს.

ჩვენ, ვიცით, რაშიაც გამოიხატება რუსეთის შაბლონი. ამიტომ, ლენინს რომ მარტო ეს რჩევა მიეცა, დასკვნის გაკეთება არ გაგვიჭირდებოდა. მაგრამ ლენინი ამითიც არ დაკმაყოფილდა და მოისურვა კონკრეტიზაცია იმისა, თუ როგორ ესმის მას ეს შაბლონი. უპირველესად ყოველისა მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჩვენში აუცილებლად დაცულ უნდა იქმნას წვრილი ვაჭრობა. წვრილი ვაჭრობის დაცვა და ზოგიერთ შემთხვევაში კი დახმარების აღმოჩენაც, როგორც ამას ლენინი ამბობს, ჰგულისხმობს და მოითხოვს არა მარტო იმას, რომ სავაჭროები დია იყოს და ამ სავაჭროების საქონელი უზრუნველყოფილი იყოს რეკვიზიციისაგან, არამედ იმასაც, რომ შეიქმნას ისეთი საერთო პირობები გაცვლა-გამოცვლისა, როდესაც ამ პატარა სავაჭროებს საშუალება მიეცემათ თავისუფალ ბაზარზე იშოვონ საქონელი და შეავსონ თავიანთი სავაჭროები. ეს უპირველესად ყოველისა იქნება სასურსათო ხასიათის საქონელი, პროდუქტები სოფლის ინდივიდუალური ან კოოპერატიული, ამბანაგური მეურნეობისა.

ამ მიზნის განსახორციელებლად კი საჭიროა ორიგინალური და არა შაბლონური გადაწყვეტა მრავალი ისეთი ძირითადი საკითხისა, რომლებზედაც დამოკიდებულია შესაძლებლობა აღებული კურსის დაცვისა და განვითარებისა. ფულის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ფულის ნიშნების საკითხი, საკითხი მიწის პერიოდული გადამიჯვნისა, ნატურალური გადასახადი და მრავალი ამისთანა საკითხები თვით რუსეთშიაც დღეს იმნაირად არა სწყდება, როგორც პირველ ხანებში სწყდებოდა. რუსეთის საბჭოთა გაზეთებიდან უკვე ვტყობილობთ, რომ თითქმის ყველა ეს საკითხი თვით რუსეთშიაც პირვანდელ შაბლონურ ხასიათს ჰკარგავს და უფასდება ცხოვრების რეალურ პირობებს. მით უფრო არავითარი საჭიროება არ მოითხოვს ეს შაბლონები ვიხმაროთ საქართველოში და არ ვისარგებლოთ რუსეთის გამოცდილებით.

ამ საკითხების შესახებ ჩვენ თავის დროზე გვექნება საუბარი მკითხველებთან; დღეს კი დავკმაყოფილდებით იმით, რომ აღვნიშნავთ უკვე მომხდარ ფაქტს საქართველოს მთავრობასა და ლენინის შორის არსებულ შეთანხმებისას სოციალისტური შემოქმედების ამ ძირითად საკითხებში.

ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებული სოციალური სტრუქტურის ქვეყანაა; ფორმები მიწის სარგებლობისა სრულიად სხვადასხვანაირია საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში; მესაქონლეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოობა,—ყველა ეს დარგი სახალხო მეურნეობისა განსაკუთრებულ დაკვირვობას მოითხოვს და, თუ სადმე არის საჭირო ორიგინალობის გამოჩენა, სწორედ ამ დარგებში.

საბჭოთა სისტემის უცხოელი ინსტრუქტორები დიდს დახმარებას გაუწევენ მხოლოდ ფორმალური ორგანიზაციის მოწყობის საქმეში, ფაქტიური აღმშენებლები კი უნდა იყვნენ მხოლოდ ადგილობრივი ცხოვრების კარგი მცოდნენი, რომლებიც შესძლებენ და თავიანთ ცოდნას ახალი ცხოვრების პირობებს შეუფარდებენ, შეუთანხმებენ.

საუბედურად ჩვენში ჯერჯერობით ასე არ არის. სახალხო მეურნეობის უმაღლეს დაწესებულებებს აუარებელი ისეთი ხალხი მიაწყდა, რომელთაც სრულიად არავითარი კავშირი არა აქვთ არც სოციალიზმთან და არც საქართველოს სახალხო მეურნეობასთან.

თუ ეს ორგანიზაციები საბოლოოდ ამ შემთხვევით ხალხის ხელში დარჩა, ჩვენი სახალხო მეურნეობა საბოლოოდ დაიღუპება და სოციალიზმი ხომ ამ უცნაურად გაკომუნისტებულ ხალხის ხელში მასხრობად გადაიქცევა.

ქართველი ხალხის სოციალისტური სინდისი, რასაკვირველია, ამას ადვილად ვერ შეურიგდება ..

მოუხვენარი.

დეკრეტი № 5.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

რეკვიზიციისა და კონფისკაციაზე.

1. არავითარი ქონება არ შეიძლება ჩამორთმეულ ან დაკავებულ იქნეს გარეშე იმ წესებისა, რომელიც აქ არის ნაჩვენები.

2. რეკვიზიცია ეწოდება სახელმწიფოს მიერ იძულებით ჩამორთმევას ან დროებით დაკავებას ქონებისა, რომელსაც ჰფლობს კერძო ან საზოგადოება იმ ფასად რომელსაც განსაზღვრავს ხელისუფლების სათანადო ორგანოები (ამ 9 და 10).

3. კონფისკაცია ეწოდება სახელმწიფოს მიერ უსასყიდლო იძულებით ჩამორთმევას იმ ქონებისა, რომელსაც ჰფლობს კერძო პირი ან საზოგადოება.

4. საერთო სახელმწიფო მომარაგების მიზნით სურსათ-სანოვაგის ან სამეურნეო საწარმოო საგნების რეკვიზიციის უფლება ეძლევა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს და მომარაგების სახალხო კომისარს კუთვნილებისამებრ. ხოლო ორივე უწყება ანხორციელებს თავის უფლებას. როგორც პირდაპირ, ისე ადგილობრივ ორგანოების საშუალებით.

შენიშვნა: უფლება და წესი რეკვიზიციისა და კონფისკაციისა სხვა უწყების მიერ განისაზღვრება საგანგებო დეკრეტებით.

5. კონფისკაციის უფლება ეკუთვნის გარდა ზემოხსენებულ ორგანოებისა, აგრეთვე სრულიად საქართველოს საგანგებო კომისიას პრეზიდიუმს, რევოლიუციონურ ტრიბუნალებს, სახალხო სასამართლოებს, რომელნიც მიმართავენ ამ ზომებს, როგორც სასჯელს; ეს უფლება ხორციელდება ზემო ნაჩვენებ ორგანოების განსაკუთრებულ დადგენილებით, რომლის წერილობითი ასლი გადაეცემა დაინტერესებულ პირებს. თანახმად ამ დეკრეტში მოხსენებულ მე-10 მუხლისა. რევოლიუციონურ ტრიბუნალებს და სახალხო სასამართლოებს თავისი დადგენილება კონფისკაციის შესახებ შეაქვთ სასამართლოს განაჩენში.

6. რეკვიზიცია ან კონფისკაცია ასაოჯახო ნივთებისა (ავეჯეულობა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ჭურჭლეული და სხვ.) აღკრძალულია იმ შემთხვევაში. როდესაც საზოგადოებრივი საჭიროების ინტერესი მეტად მწვავედ მოითხოვს ზემოაღნიშნულ ნივთებს. უფლება მათი რეკვიზიციისა ანუ კონფისკაციისა ეკუთვნის საგანგებო კომისიას, რომელშიაც შეიტანენ წარმომადგენელნი საგუბერნიო რევკომისა. საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოსი და საგუბერნიო მომარაგების კომიტეტისა იმ პირობით, რომ თვითეულ შემთხვევაში აცნობებენ სათა-

ნადო ცენტრალურ ხელისუფლებას. რეკვიზიციისა და კონფისკაციის ყოველ შემთხვევას აუცილებელ ესწრებიან აგრეთვე წარმომადგენელნი ადგილობრივი ხელისუფლებისა.

7. რეკვიზიცია და კონფისკაციით ჩამორთმეული ქონება ჩაირიცხება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად, ან დროებით საკუთრებად და გადაეცემა ხელისუფლების სათანადო ორგანოთა მიერ არა უგვიანეს სამი დღისა, დღიდან მათი ჩამორთმევისა.

ორგანოები, რომელიც ადგენს რევიზიციის და კონფისკაციის მოხდენას და აგრეთვე ის ორგანოებიც, ვისთანაც გადადის რეკვიზიციით და კონფისკაციით ჩამორთმეული საგნები, აწარმოებენ სწორე აღრიცხვას და ინვენტარის სიას.

შენიშვნა: უფრო დაწვრილებითი წესი კონფისკაციით და რეკვიზიციით ჩამორთმეული საგნების სათანადო უწყებათადმი გადაცემისა და აგრეთვე მათი აღრიცხვისა და შეფასებისა, შემოღებულ იქნება იუსტიციის სახალხო კომისარის ინსტრუქციით, რომლის გამომუშავებაში მონაწილეობას მიიღებს მომარაგების სახალხო კომისარის მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშათა და გლეხთა იხსპექციის სახალხო კომისარი. ამ ინსტრუქციის გამოცემამდის ძალაში რჩება საერთო წესი, რომელიც მოსსენებულია ამ დეკრეტის მე 7-10 მუხლ.

8. გამოსყიდვა რეკვიზიციით ჩამორთმეულ ქონება მთავრობის იმ ორგანოს მიერ, რომელმაც დაადგინა რეკვიზიციის მოხდენა ეროი თვის განმავლობაში, დღიდან სარეკვიზიციო აქტის ახლის ჩაბარებისა დაინტერესებულ პირისადმი.

9. თვითეულ რეკვიზიციის, კონფისკაციის და ქონების დაკავების შემთხვევაში ჩამორთმევის დროს შედგენილ უნდა იქნეს საგანგებო აქტი, სწორი აღნიშვნით: 1) ფორმულარული საფუძველისა რომლის ძალითაც იგი ხდება და 2) რეკვიზიციით და კონფისკაციით ჩამორთმეულ ქონებისა. კონფისკაციის ან რეკვიზიციის სახით ჩამორთმეულ ქონების პატრონს ზემოხსენებულ აქტის ასლი გადაეცემა არა უგვიანეს სამი დღისა

10. იმ შემთხვევაში, თუ კონფისკაცია ხდება სასჯელის სახით ხელისუფლების ორგანოები, რომელიც ახდენენ კონფისკაციას, ვალდებულნი არიან დაუტოვონ ჩამორთმეული საგნების პატრონს და მის ოჯახის წევრეს ოჯახისათვის საჭირო საგნები და ავრეთვე საგნები პროფესიისა და წარმოებისა იმ ზომით, რაც მიღებულია საერთო წესით.

ამასთანავე საჭიროა, უკანონო მოქმედებაზე კონფისკაციის შესრულების დროს უნდა მიეცეს ადგილობრივ რევკომის პრეზიდიუმს, რომელიც ვალდებულია სამი დღის განმავლობაში განიხილოს საჩივარი არსებითად.

11. ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავენი სამსახურის პირნი პასუხს აგებენ სახალხო სასამართლოს წინაშე.

12. კომისია, რომელიც ნაჩვენები არის მე-6-ში, არსდება საგუბერნიო რევკომთან,

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე. შანაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია. მთავრობის მდივანი გაბრიჩიძე. 1921 წლ. მარტის 20 ქ. ტფილისი. სასახლე.

„ახალი სხივი"

რედაქციის განცხადება.

ბ-ნო რედაქტორო! ბრძანეთ მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადოთ შემდეგი:

დ. ხარითონოვილის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთი „მუშათა ერთობა". გაზეთში ნათქვამია, რომ იგი სდგას დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პოზიციაზე.

„დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიის" პლატფორმით საქართველოში პირველად გამოვიდა „ახალი სხივის" ჯგუფი დამფუძნებელ კრებაში.

გაუგებრობის გასაფანტავად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვაუწყოთ ყველას, რომ „მუშათა ერთობა" სრულიად დამოუკიდებელია იმ იდეოლოგიისაგან, რომელსაც იზიარებს, „ახალი სხივი".

ჩვენ შეეცდებით „ახალი სხივის" გამოცემის გაგრძელებას და იქ ძალინ გამოვსთქვამთ ჩვენს შეხედულებას საქართველოში აწ შექმნილ სოციალ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ვსთხოვთ „მუშათა ერთობას" გადაბეჭდოს ეს ჩვენი განცხადება.

„ახალი სხივის" საორგანიზაციო კოლეგიის წევრნი **ალექსანდრე ნინიძე, მუხრან ბოჭოლაკა.**

ახალი ამბები

— **ქართვ. ხელოვანთა კრება.** დღეს, მარტის 29, ხუთშაბათ დღეს 4 საათზე ქართველ ხელოვანთა სასახლეში (სოლოლაკი, სერგიევის ქ. № 13) გაიმართება

პეტრე კროპოტკინი

ბიოგრაფია და დოქტრინა.

„დღეს, როდესაც საფრანგეთის „ოსპგლ კანელები", თავის კანონიერ გეოგრაფიის ბრძოლეს გამოსახვად სთვლიან რუსეთის მეფის ფერხთა წინაშე გდება, მე გასაკუთრებით მესიამოვნება თავი სუფლ პიროვნებათა მეგობრობა. იმ პირებთან, რომლებსაც ეს მეფე ან ცემით მოადგენენ ბოლოს, ან ამოიღრძობინებდა რომელიმე ციხეში, ან ჩამოახრჩობინებდა თავის სამეფოს რომელიმე მივარდ ილ კუთხეში. ამ მეგობრებთან წუთით ვიგიწყებ რენეგატთა სახიზღრობას, რომელნიც ახალგაზრდობაში ხმის წართმევამდე გაჰკიოდნენ: „თავისუფლ ან თავისუფლებ!"-ო, და დღეს კი ვარჯ ზობენ, რომ როგორმე შეეთანხმონ „მარსელიეზა" და „ბოეე ცარია ხრანს"-ო. ასე სწერს დიდი ანარქისტი ელიზე რეკლიუ, კროპოტკინის შესახებ, თავის წიგნასტყვაობაში, კროპოტკინის წიგნს „La Conquete du Pain"-ს რომ წაუძღვარა. კროპოტკინის საუკეთესო დახასიათებაა.

სხვანაირად ვერც ასწერდნენ „მეამბოხის სიტყვების" ავტორს, რომელიც რუსეთის უფამურობის დროს გადავარდა ევროპის ატორტმანებულ ცხოვრებაში, და სანჩობელას გაქცეული, თვით უმზადებდა გილიოტინას მთელ კეთილშობილობის საზოგადო რივ-პოლიტიკურ სტრუქტურას. მაგრამ მხოლოდ ამ მხრივ გაბიჯვა როდია საკმარისი. ანარქისტ კროპოტკინამდე არსებობდა სავადი კროპოტკინი და თუ ამ მეტამორფოზას არ გავითვალისწინებთ, ვერ ჩავწვდებით დიდ რევოლიუციონერის ღრმა ბუნებას.

—„ჟარხანა-ფაბრიკების შეხუთულ და დამჩაგვრელ ატმოსფეროში, ბუნებიან საცდილოებში, „ჩერდაკების" სახურავებ ქვეშ, მაღაროების ნოტიო დერეფნებში, დღეს იბადება ახალი ქვეყანა"-ო.

ANTIQUARIAT BUCHHANDLUNG

ფოსტა ტელეგრაფის დამოკიდებულების საკითხის მოსაწესრიგებლათ წასული ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კამარაული. მისი სიტყვით კავშირი რუსეთთან აღდგენილია სამოლოდ. ფოსტა გიგზავნება საქართველოს სამხედრო გზით კავკავში ცხენებით, სადაც მოხდება განაწილება და გაგზავნა რუსეთის ყველა ქალაქებსა და ადგილებში. ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ უბრალო კორესპოდენცია.

— **ტფილისის გუბერნიის მილიციის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ** დანიშნა ამხ. ივანიძე. **ტფილისის ობსერვატორიის კომისარის** მიერ პეტროგრადის ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორის სახელზე გაგზავნილ მისალმების დეპეშას სპასუხოთ უკანასკნელმა გამოგზავნა შემდეგი დეპეშა: ვესალმები მდგომარეობათა გამო ჩვენ სამეცნიერო მუშაობის გაწყვეტილ კავშირის აღდგენას. მთავარი ფიზიკური ობსერვატორია გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობანი ობსერვატორიის მოკვლედების, შემადგენლობის და ძალის შესახებ უკანასკნელ წლების განმავლობაში და პირველ საშუალებისთანავე გიიოგზავნოთ აქ წარმომადგენელი ფიზიკური სამსახურის საჭიროო გაეოთიანებისათვის.

— **ხერგო ქავთარაძე.** საქართველოს რევკომის დადგენილებით, ამხ ს. ქავთარაძე დანიშნულია რევკომის საგანგებო რწმუნებულად ბათუმში.

— **ოსმალეთის ლაშქრის** აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა ქიაზიმ ქარაბეკირ ფაშამ ოფიციალურად აცნობა ჩვენს სარდლობას, მოსკოვის რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციის დადგენილების თანახმად, ძისი ჯარები სცლიან ახალციხე, ახალქალაქი და ბათუმის ოლქს.

— **წითელ არმიელთა ჯამაგირები.** სამხედრო სახალხო კომისარის ამხ. ელიავას ბრძანების თანახმათ სამხედრო სახალხო კომ. სამხედრო მოკავშირეებს მიეწერა: წითელ ლაშქრის თანამშრომელნი ჯამაგირების დაწესებამდე დაკმაყოფილებულ იქნან ფულით ავანსის სახით. რაოდენობა თვიურ ავანსისა დადგენილია 6 დან 10,000 მან. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ყველა, წითელ არმიელ გუნდის უფროსამდე და სათანადო სამსახურისა, ოომლებიც მიიღებენ 6000 მანეთს, მეორეს გუნდის უფროსიდან—რაზმის უფროსამდე—მიიღებენ 8.000 მ, მესამეს რაზმის უფროსიდან

ძსურველი. პატარა ეურნალსაც სცემს, ამ აზრს ანვითარებს, და სად ეკზემპლიარად გადაწერდას, ურიგებს სახდო ამხანაგებს. რასაკვირველია ყველაფერი ეს დიდად საიდუმლოდ ჰხდება.

უცნაური ბავშვი რიდი ტყდება. დავეკვაციების ზდურბალებზე უფრო ძაფიოდ სრიახს ეს თვისება.

ძისი ანახანაგები დიდ არჩევანში არიან. უფრო სახელოვან, უფრო დიდი ტრადიციების პოლკების იორჩევენ. ბრწყინვალე ძუნდირებზე ფიქრობენ, სასახლესთან დაახლოვებაზე ოცნებობენ. კროპაკკინი მარტო რჩება. შორს ციმბირში ირჩევს წასვლას, ამეთის ყაზაებთან, უბრალო ჯაოში. აზი ვერ შეაცვლევინეს ვერც ვერც ამხანაგების ალაფშოთებამ, უფროსთა გაოცებამ და ვერც ძმის საყვედურებმა. რა უნდოდა ამ „გაუგებარ" და „უცხაურ" ბოჩენინის?—დამოუკიდებლობა. „პიროპითი ცივილიზაციის მოჯალებულ წრის" გარეგ ყოფნა. ეი იქ, ციმბირში ოოგორ სცხოვრობს პატ. კროპატკინი:—„ოთაღენიმე გირვანქა ბუოოთ, ოთაღენიმე ძისხალ ჩაით ტყავის პარკში, უნაგირზე მობმულ პატარა ქვაბით და წალდით, ნაძვის ახლად ნაკაფ ტოტებზე გაშლილ საბნით, ადამიანი გრძნობს თავს საოცრად დამოუკიდებლად წარმოიდგინეთ უცნობ მთებშიც კი, ხშირი ტყით და თოვლით დაფენილ ძოებში". ასე სწერდა ციმბირში პეტრე კროპატკინი. კროპატკინმა პირველად თავისუფლება ციმბირში იგრძნო და როგორც თვით ამბობს, ციმბირშივე დაჰკარგა სახელმწიფო დისციპლინის რწმენა

ციმბირში გადიქცა მისი მომავალ მსოფლმხედველობის პირველ ლაბორატორიად.

აქ ნახა პირველად პოლიტიკური გადმოსახლებულნი, ძთავრობის ძიერ დევნილნი და შეწუხებულნი. ტუსაღთა ცხოვრების სურათები ძეულებენ მას სამხედრო სამსახურს. სამაგიეროდ მეცნიერებას ხარბად ეტანება. სამხედრო ბუნ-

ANTIQUARIAT BUCHHANDLUNG

ბრაზმის უფროსიდან და ზედან—მიიღებენ 10.000 მ.

— **ბემდეგი განაწილების, ოოგორ ტრაცია.** განათლების სახალხო კომ. აცხადებს, ოომ, რადგანაც 16 მარტის 1919 წ. ჟანონო განათლების სამინისტროში ბეჭვდითი ნაწარმოების წადგენის შესახებ არ გაუქმებულა, წინადადება ეძლევა წარმოდგენილ იქნას, ზემოაღნიშნულ კანონის თანახმად განათლების სახალ. კომ. ყველა ბეჭვდითი ნაწარმოები, როკორც დღემდე გამოსული, აგრეთვე რომელიც შემდეგ გამოვა, 14 ცალი, რომელ ენაზედაც უნდა იყოს გამოცემული. ეს გამოცემანი საჭიროა უნივერსიტეტისთვის, მუზეუმისთვის და სხვა.

— **საგიტაციო სამხატვრო გამოფენა.** მხატვარმა მ. თოიძემ რევკომში წაადგინა ავტომობილებზე მოძრავ საგიტაციო სამხატვრო გამოფენის ორგანიზაციის პროექტი.

— **სახალხო აუდიტორ.ა.** მე-2-ე ქართული კლუბი გადაკეთდა სახალხო აუდიტორიად, რომელიც უნდა განაგონ საქართველოს ხელოვნების კავშირის მოდგაწეებმა.

— **პირველი შაბათობა.** აპრილის 2 ს, შაბათს, ტფილისში გაიმართება პირველი შაბათობა საზოგადოებისთვის საარგებლო სასწრაფო მუშაობათა შესასრულებლათ. **გახარებულია** ბემდეგი პროგრამა: ქალაქის გენერალური გასუფთავება ტალახისა და ნაგავისაგან და განსაკუთრებით მტკვრის ნაპირების გასუფთავება. ბემდეგ გახარებულია ბეჭრის ძკენარეების გასხვლა. ქალაქის ბაღების დამარხვა, ქვისა და ქვიშის დამზადება ქალაქის ქვაფენილის შესაკეთებლად, ქალაქის გარეთ ადგილებში ორმოების მოთხრა ელექტრონის განათებისთვის ბოძების დასადგამად და სხვა.

— **ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილებაში.** განყოფილების დადგენილებით ყოფილ ქალაქის გამგეობის ყველა განყოფილებაში გაუქმებულია პოლიტიკურ კომისრების თანამდებობები

— **აღმშენებელ მუშათა კავშირში** აღმშენებელ მუშათა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად. კავშირი გაყოფილია ორ განყოფილებაო: ხეზე ძომუშავეთა კავშირი და აღმშენებელ მუშათა კავშირი. დროებით დატოვებულია კავშირის ძველი სასურსათო ორგანო და კომისიების უფლებასაც. 27 მარტისთვის დანიშნუ-

ANTIQUARIAT BUCHHANDLUNG

1812 წ. ჩაიკოვსკის ფრენაში ეწერებაა. ლასარალი, მარქსი, ფლეროვსკი-ბაზარი—ეი მათი შესასწავლი ავტორები. სოფიო პეროვსკაიას ბიხა სოციალისტურ აგიტაციის ცენტრად იქცევა. კროპოტკინიც ისე ბრის, როგორც ერთი პირთაგანი.

პეტერბურგში გეოგრაფიულ საზოგადოების კოლეგია. კროპოტკინი მოხსენებას კისრულობს.

სენსაციას იწვევს. მეორე ღამეს კი ეინდარმები უძასპიხლდებიან. რამდენიმე კვირას „მესამე განყ ფილებაში" ატარეს, შემდეგ კი პეტრე-პავლეს ციხეში გადაყავთ. იმპერატორის ძმა, ბიკოლოზ ბიკოლაიზის ძესთან ინციდენტი ჰხვდება, როცა ეს უკანასკნელი შედის მის საკანში, ძველი ხაცნობ კროპოტკინის სახეზავად. თავ-აწვებული „რევოლიუციონერი უკეთესად ჰხვდება მის იმპერატორობითი უმაღლესობას. პასუხს ოთ აძლევს კეთილ ეზე, გამომძიებელს ოქმი ფაიკითხეთ, იქა სწერია. ორი წელიწადი ზის პეტრე-პავლეს ციხეში. იქიდან გადმოაყავთ ე. წ. „в дом предварительнаго заключения." პეტრე კროპოტკინი ძძიდ ჰხდება ავად. სცდილობენ მახლობლები თავდებობით გაანთავისუფლონ. მაგრამ პოოკუოოი შუბიხი კროპოტკინის დას ეუბნება:—„მოიტანეთ მოწმოთა ეკეთისაგან, რომ თქვენი ძმა ათი დღის შემდეგ მოკვდება და მაშინ გავანთავისუფლებო." მაგრამ კროპოტკინი ძაინც გადაჰყავთ პეტერბურგის განაპირას, საბუდრთა საავადმყოფოში. აქ შეძლება ძიეკ ძეგობეოეს კვლავ დაახლოვებოდა, და გაქცევა ფიქრიც აქ ეამალა. რამდენიძე ფეტატიური გეგმა იქმნა შემუშავებული ბოლოს უფრო რეალურ გზას ეიგანეს საავადმყოფოს პირდაპირ მისმა მეგობრებმა ბინა იქირავეს. როცა ყველაფერი ზად იქნებიდა, სკრიპკას დაუკავშირეს ეს იყო სიგნალი. საიდუმლო ეტლი მოადგა ციხე-საავადმყოფოს. თოფ-მომარჯვებული დარაჯი ფეხ-და ფეხ მისდევ

ANTIQUARIAT BUCHHANDLUNG

ლია პირველი საზოგადო კრება ადმშენებელ მუშებისა. ეს კრება დანიშნულია „მინიონ“ თეატრის შენობაში. ბარიატინსკის ქუჩაზე № 6.

— **სამკურნალო საქმე ტფილისში.** თათბირმა გამოიმუშავი რიგი ღონისძიებათა. რომელთა მეოხებით სამკურნალო დაწესებულებათა უზრუნველყოფა თვითრუულობით, სურსათით და სათბობით სრულიად შესაძლებელი იქნება.

— **ხალვიმი განათლების რეორგანიზაცია.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იმუშავებს საექიმო ფაკულტეტის რეორგანიზაციის პროექტის. ექიმმა შამშინოვმა პროექტის გამო წარადგინა მოხსენება, რომ საექიმო ფაკულტეტზე შემოდებულ იქმნას საგნობრივი სისტემა და მოხდეს მილიტარიზაცია ფაკულტეტისა სამხედრო დისციპლინის საფუძველებზე.

— **ახალი მოთხრობა.** რედაქციას მოუვიდა ივანე ბაბანაშვილის მოთხრობა: „ღვთის სამართალი“. წიგნი შეიცავს 67 გვერდს და ღირს 300 მ.

— **შრომის სახალხო კომისარიატში.** შრომის სახალხო კომისარიატი იყოფება მუშათა სასახლეში. კომისარიატში 4 განყოფილებაა: საკონფლიქტო, რომელიც სწყვეტს მომხდარ უთანხმოებებს ხელოვანთა და ძწარმოებელთა შორის, განყოფილება შორის დაცვისა—სატარიფო პალატის სამ. გიერო, განყოფილება ძალთა გადანაწილების ადწეოისა და საიხტრუქტორო განყოფილება.

რეგკომის ინფორმაციური. საქართველოს რევკომთან დაარსდა საინფორმაციო ბიუროო, რომელსაც ყველა სახოგადოებრივი და სახელმწიფო საოქოთა ორგანიზაციები ორ დღეში ერთხელ უნდა გაუგზავნონ მოკლე ანგარიში თავის მოქმედებისა ყველა პოლიტ პიალურ საკითხის შესახებ და კვირაში ერთხელ სხვა ყველა დანარჩენი მეახები საკითხებზე. საინფორმაციო ბიუროო აგრეთვე ისახავს მიზნად ძიაწყოს ძალიან ფართო ინფორმაცია საქართველოს, ახალციხეს, სომხეთის და აზერბაიჯანის რევკომებისა. საინფორმაციო ბიუროს ხელში იქნება მიღება საზღვარ გარეთის გაზეთები და აგრეთვე მიღება ინფორმაციისა მოსკოვიდან ტელეგრაფით, ოდიოთი და ფოსტით. ბიუროო ითავსებულია სასახლეში, ოთახი № 10.

— **ბინეთა ინვენტარიზაცია.** საბინაო მესამე განყოფილებამ გამოაქვეყნა, ოთა ოთი კვირის განმავლობაში სახლია კომიტეტებმა დაწესებულ ფორმით წარადგინონ შემდეგი ცნობები: 1) ბინის № 2, გვარი, სახელი და მამის სახელი სახლის პატრონისა, 3, ოთახების რიცხვი ბინაში. 4) ბინაში მცხოვრებთა რიცხვი და 5) თავისუფალ ოთახების რიცხვი.

— **ქალაქის ხანგარეა.** მუშათა და გლეხთა ქალაქ ტფ. მილიციის უფროსმა წინადადება მისცა რაიონების უფროსებს აიძულონ სახლის პატრონები დაიცვან სისუფთავე ქუჩებში და ტროტუარებზე, ამასთან ქუჩების, მოედნების და ტროტუარების დასუფთავება უნდა მოხდეს არა უგვიანეს დამის 12 საათისა და გათავდეს არა უგვიანეს დილის 8 საათისა, ე. ი. ჩვეულებრივ მოძრაობის დაწყებამდე. ქალაქის ჯანმრთელობის კოლეგიის განყოფილებამ თათბირმა დადგინა მიღებულ იქმნას სასწრაფო ღონისძიებანი ქალაქში ეზოების გასაწმენდად ნაგვისა, ეუეყისა, ნეხვისაგან და სხვა.

— **სამკურნალო საქმე ტფილისში.** კოლეგიის ქალაქის განყოფილების და ქალაქის სამკურნალო დაწესებულებების გამგეების შეერთებულ თათბირზე გამოირკვა, რომ ამ ჟამად ყველა ქალაქის საავადყოფოში მწვავედ სდგას საკითხი ავადყოფების თეთრეულოვის, მედიკამენტებით და სურსათით და აგრეთვე სათბობ ძასალით უზრუნველყოფისა, რომლის უქონლობის გამო დაკეტილია მექანიკური სამრეცხაო და არ მოქმედებს აბანოები. თათბირზე გამოირკვა, რომ სამკურნალო დაწესებულებების სამკურნალო მასალებით უზრუნველყოფა ორამდენამდე სძნელია.

— **უმუშევარნი.** ტფილისის შრომის ბირჟამ 1—19. მარტამდის 6.350 უმუშევართა რეგისტრაცია მოახდინა. მათ შორის 3.302 ათმაკაცია და 3.048 დედაკაცი. რეგისტრაციაში მოყოლილთა შორის 33ა ძოზარდია.

— **სამხატვრო სათეატრო კომისია გრუკავრისტასთან.** გრუკავოროსტასთან დაარსებულია სამხატვრო-სათეატრო კომისია. ყველა სამხატვრო-სათეატრო საქმეების ხელმძღვანელობისათვის. ოამდენადაც კი ეს საქმეები შედიან გრუკავოროსტას კომპეტენციის სფეროში, კომისიის უახლესი მიზანია—იეჰქნას სამხატვრო ოპერა-დრამატული თეატრი „სატირო-ბაგიტ“-ისათვის. ქართულ, რუსულ და სომხურ სექციებია ძმედეფოოთ ბიდებით. კომისიის შეიკრებულობაში შედიან: დ. არაყიშვილი, ამხ. გუნია, გ. რობაქიძე, ამხ. ჭიაურელი, ამხ. ვოლსკი, ამხ. ბაბაშიძე, თუმანიანი. კომისიაში სამუშაოდ მოწვეულ იქმნებიან საუკეთესო სამხატვრო და სარეჟისორო ძალები.

ბათუმში

ბათუმის სამხედრო რევოლიუციური კომიტეტი გადადგა. დაარსდა საოლქო რევოლიუციონური კომიტეტი შემდეგ პირთაგან: ამხ. ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე (ფინანსები და სახალხო განათლება), დ. მახარაძე (სასურსათო საქმე), ქაჯაია (რევკომის გამგეობის მართველობა), ამხ. ედენტი სამხედრო, ს. გუბელი იუსტიცია, ი. პევცოვი სახალხო მეურნეობის საბჭო, კ. ქავთარაძე.

